ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი # 3

ქ. ონი 8. 08. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 27 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გივი მეტრეველი, გიორგი მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ბერელიძე, ლევან ორდინიძე, ბიჭიკო კერვალიშვილი, მერაბ ბიჭაშვილი, ნინო გობეჯიშვილი, სონია გუგეშაშვილი, რევაზ საბანაძე, როსტომ ლობჯანიძე, ბიძინა ყიფიანი, თორნიკე მეტრეველი, შუქურა ჯაფარიძე, მადლენა მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, ბესიკი მაისურაძე, შალვა კახეთელიძე, ნონა მაისურაძე, ეკა მაისურაძე, ნინო ბერუჩაშვილი, თეიმურაზ ცეცაძე, ანა ბაქრაძე, გელა მეტრეველი.

არ ესწრებოდა 6 წევრი: გიორგი მეშვილდიშვილი, ფრიდონ გოგრიჭიანი, ნოდარ ბურდილაძე, თამაზ მეტრეველი, თამილა არჩვაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თინათინ ბროლაშვილი.

საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს შოვში, 3 აგვისტოს მომხდარი სტიქიის შედეგად გარდაცვლილთა ხსოვნას.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე
თანამომხს. თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს:1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე
თანამომხს. თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ და აღნიშნა, რომ შოვში, 3 აგვისტოს მომხდარ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით, კულტურული ღონისძიების, კერძოდ, ონელობის თანხა, 60 000 ლარი გადატანილი იქნეს სარეზერვო ფონდში, რაც არ იწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე